

ცაგერის მუნიციპალიტეტის სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის  
თავმჯდომარის 2018 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში

---

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია შეიქმნა 2017 წლის ნოემბერში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 28-ე მუხლის შესაბამისად. კომისია შეიქმნა მუნიციპალიტეტის საკრებულოში საკითხების წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, მერიის, მისი სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლის მიზნით.

კომისია აკონტროლებს და მუდმივ ყურადღებას აქცევს საკრებულოს წევრთა მიერ რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვას. კომისიის მიერ განისაზღვრა საკრებულოს კომისიებში საკრებულოს წევრთა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები, ამ მხრივ გატარებული მუშაობის შედეგად მიღწეულია, რომ საკრებულოს წევრთა აბსოლუტური უმრავლესობა, გაერთიანებულია და მონაწილეობს ერთი ან ორი კომისიის შემადგენლობაში.

სამანდატო საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიამ მოამზადა ფრაქციის რეგისტრაციისათვის საჭირო მასალები, რომელიც წარდგენილი იქნა ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე. მიღებული დასკვნები და გადაწყვეტილებები იყო დადებითი. შესაბამისად საკრებულოში არსებული კანონმდებლობის სრული დაცვით ფუნქციონირება დაიწყო ხუთმა ფრაქციამ, რომელიც ფუნქციონირებს დღემდე.

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ (თავმჯდომარე კარლო მუშკუდიანი), ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“ (თავმჯდომარე გივი გოგებაშვილი), ფრაქცია „ერთობა“ (თავმჯდომარე ამირან მახარობლიძე), ფრაქცია „ევროპული საქართველო-მოდრაობა თავისუფლებისათვის“ (თავმთავმჯდომარე გოჩა გურგუჩიანი), ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ (თავმჯდომარე ფატმან სვანიძე).

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 32-ე

და 38-ე მუხლებში შეტანილი ცვლილების შესაბამისად ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემავალ ფრაქციებს დაემატათ ფრაქციის მოადგილის თანამდებობები. ხუთივე ფრაქციის მიერ ჩატარებულ იქნა ფრაქციის სხდომები (შესაბამისი ოქმები) და კანონმდებლობის სრული დაცვით აირჩიეს ფრაქციის თავმჯდომარის 6 მოადგილე.

სამანდატო საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია 2019 წლის განმავლობაში რეგულარულად იწვევდა კომისიის სხდომებს. ადგენდა სამუშაო გეგმებს და ასრულებდა ამ გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებებს. მიმდინარე წელს ჩატარდა კომისიის 9 სხდომა (სათანადო ოქმებით).

ისევ პრობლემად რჩება მოსახლეობასთან შეხვედრები დადგენილი გრაფიკის შესაბამისად, ვერ დაინერგა პრაქტიკაში გამსვლელი სხდომები, ღია კარის დღე და ასე შემდეგ. ეს საკითხები დასმულია კომისიის მიერ საკრებულოს წინაშე და დაგეგმილია საკრებულოს კომისიების, ფრაქციების და წევრების საქმიანობის გასაუმჯობესებლად სხვადასხვა ღონისძიებები.